საერთაშორისო სტანდარტები, როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის მეთოდოლოგიური პრინციპები

შოთა დვალიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები გამოხატულებას პოულობენ გარკვეულ დოკუმენტებში (შეთანხმებებში, დებულებებში, პაქტებში, კონვენციებში, დეკლარაციებში, წესებში და ა.შ.) ნორმების, პრინციპების და რეკომენდაციების სახით. სტანდარტები, თავიანთი იურიდიული სტატუსის მიხედვით, არაა თანაბარმნიშვნელოვანი, მაგრამ ერთიანი არიან მსოფლიო გაერთიანების მისწრაფების გამოხატვაში მაქსიმალურად კოორდინირებული გახადონ ყველა და თითოეული სახელმწიფოს საქმიანობის პოლიტიკა, საშუალებები და მეთოდები, რომლებიც მიმართულია დანაშაულობის წინასწარ აღკვეთისა და მასთან ბრძოლისაკენ. ამრიგად, საერთაშორისო სტანდარტები - ესაა საერთაშორისო დონეზე მიღებული წესები, მოთხოვნები, პრინციპიალური დებულებები, რომლებიც მიმართულია დანაშაულობის აღსაკვეთად სახელმწიფოების საქმიანობის სრულყოფისაკენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე.

უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო შეთანხმებების დიდი უმრავლესობა დანაშაულობის აღკვეთის შესახებ შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, ეს საერთაშორისო შეთანხმებები შეადგენს დანაშაულობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტების იურიდიულ ბაზას.

გაერო წარმოადგენს სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის საკოორდინაციო ცენტრს დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. გაეროს მუშაობა ამ სფერში ხორციელდება საერთაშორისო დონეზე და სახელმწიფოთა შიგნით ერთიანი სტანდარტების და ნორმების დადგენის, შესაბამისი დოკუმენტების შემუშავებისა და მიღების გზით.

დანაშაულობის პრევენცია წარმოადგენს თითოეული სახელმწიფოს საშინაო საქმეს, რომელიც თვითონ განსაზღვრავს, რომელ ხელშეკრულებებში უნდა მიიღოს მინაწილეობა, რომელი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას შეუერთდეს და რა მოცულობით. აქ გამორიცხულია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გაეროს ყველა გადაწყვეტილება და რეზოლუცია დანაშაულობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის საკითხებზე, ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს. ამასთან, სახელმწიფოები ესწრაფვიან თავიანთ საქმიანობაში საერთაშორისო რეკომენდაციების სრულ გათვალისწინებას დანაშაულობის აღკვეთის საქმეში.

საერთაშორისო დოკუმენტების რიცხვს განეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, საერთო ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც ეხება პრინციპიალური თვისების მქონე დებულებებს, რაც გავლენას ახდენს პრევენციული საქმიანობისადმი მეთოდოლოგიურ მიდგომებზე, ასევე არის დანაშაულთა აღკვეთის რეკომენდაციების შემცველ დოკუმენტთა სხვა ჯგუფი, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება დანაშაულობის აღკვეთის საკითხებს. ასეთებს განეკუთვნება:

- გაეროს მეოთხე კონგრესის დეკლარაცია დანაშაულობის აღკვეთის და სამართალდამღღვევებისადმი მოპყრობის შესახებ (1970წ.).[1]
- გაეროს მეოთხე კონგრესის დეკლარაცია დანაშაულობის აღვეთისა და სამართალდამრღვევებისადმი მოპყრობის შესახებ (1970წ.);[2]
- კარაკასის დეკლარაცია, რომელიც მიღებული იქნა გაეროს 7-ე კონგრესზე 1980წ.;[3]

[1] Seventh United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders Milan, 2 6 August-6 September 1985

[2] UN General Assembly, Report of the 6th United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders., 15 December 1980, A/RES/35/171

[3] Seventh United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders-Compendium of United Nations Standards and Norms in Crime Prevention and Criminal Justice - Compendium of United Nations Standards and Norms in Crime Prevention and Criminal Justice http://www.uncjin.org/Standards/compendium.pdf

- მილანის მოქმედების გეგმა და სახელმძღვანელო პრინციპები დანაშაულის აღკვეთის და სისხლის სამართლის დარგში განვითარების და ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის კონტექსტში (1985წ.); [4]
- კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესახებ (1988წ.);[5]
- კონვენცია ადამიანებით ვაჭრობასა და მეძავეობის მესამე პირთა მიერ ექსპლუატაციის წინააღმდეგ (1950წ.) [6] და სხვ.

ამ დოკუმენტების ძირითადი დებულებები აღკვეთის პირველხარისხივანი მნიშვნელობის შესახებ, მასში ოჯახის, სკოლის, შრომის როლის შესახებ, აღმკვეთ საქმიანობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის სტიმულირების, ახალგაზრდობის როლის, შესახებ თანამედროვე საზოგადოებაში, დანაშაულთა მსხვერპლთა მიმართ ყურადღების, მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების, სამართალდამცავი ორგანოების, მათი არსენალიდან წამების და ადამიანის ღირსების დამამცირებელი მოქმედებების გამორიცხვის, სამართალდამრღვევთა მიმართ პატივისცემით მოპყრობის შესახებ თანაბრად ვრცელდება არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების აღკვეთაზეც.

2. ამასათან ერთად, საერთაშორისო გაერთიანება, უთმობს რა დიდ ყურადღებას ბავშვებს და ახალგაზრობას, გამოდის უფრო გულდასმითი აღმზრდელობითი მუშაობის აუცილებლობიდან, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნების განვითარებას და სამართალდარღვევათა აღკვეთას. ამის შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულია ოთხი დოკუმენტი, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის აღკვეთის და ამისათვის კადრების მომზადების საკითხებს. მათ განეკუთვნება:

- კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989წ.);[7]
- მინიმალური სტანდარტული წესები, რომლებიც ეხება მართლმსაჯულების წარმოებას არასრულწლოვანთა მიმართ („პეკინის წესები", 1985წ.); [8]
- სახელმძღვანელო პრინციპები დანაშაულობის აღსაკვეთად არასრულწლოვანთა შორის („ერ-რიადში მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები". 1990წ.);[9]
- „თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანების დაცვის წესები" (1990წ.).[10]

ყველა დასახელებული დოკუმენტის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს. რომ არასრულწლოვანებთან მუშაობის პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს სამართალდარღვევათა აღკვეთა. ამასთან, ეს დებულება უკავშირდება არა მარტო სამართალდამრღვევ არასრულწლოვანებს, არამედ საერთოდ ბავშვებს.

ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის 24-ე მუხლში მოცემულია ადრეული პრევენციის პროგრამა, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის და ბავშვთა სიკვდილიანობის დონის კლებას;

ბ) აუცილებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და ყველა ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას პირველი რიგის ყურადღების დათმობით პირველადი მედიკო-სანიტარიული დახმარების განვითარებისათვის;

გ) ბრძოლას დაავადებებთან და კვების ნაკლებობასათან, მათ შორის, პირველადი მედიკო-სანიტარიული დახმარების ფარგლებში, სხვასთან ერთად, ადვილად მისაწვდომი ტექნოლოგიის გამოყენებით და საკმარისად სასარგებლო სურსათის და სუფთა სასმელი წყლის გამოყენებას, როცა მხედველობაშია მიღებული გარემოს დაბინძურების საშიშროება და რისკი.

დ) დედებისათვის სათანადო მომსახურების აღმოჩენა ჯანმრთელობის დაცვის მიძნით მშობიარობამდელ და მშობიარობის შემდგომ პერიოდებში;

ე) საზოგადოების ყველა ფენის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, კერძოდ, მშობლების და ბავშვების ჯანმრთელობისა და ბავშვთა კვების შესახებ, ძუძუთი კვების უპირატესიბე-

[4] United Nations Convention against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances, 1988

[5] Convention for the Suppression of the Traffic in Persons and of the Exploitation of the Prostitution of Others - Approved by General Assembly resolution 317 (IV) of 2 December 1949

Entry into force: 25 July 1951, in accordance with article 24

[6] Convention on the Rights of the Child .UN General Assembly, 20 November 1989, United Nations, Treaty Series, vol. 1577, p. 3

[7] United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"). Adopted by General Assembly resolution 40/33 of 29 November 1985.

[8] United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines). A/RES/45/112, 68th plenary meeting14 December 1990.

[9] United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty. Adopted by General Assembly resolution 45/113 of 14 December 1990.

[10] 2012 წლის 22 მარტის "არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №235.

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view docView&id=1617344

ბზე, ჰიგიენაზე, ბავშვის ბინადრობის გარემოს სანიტარიის და უბედურ შემთხვევათა აღკვეთის შესახებ, აგრეთვე მათ შესაძლებლობას მიიღონ განათლება და მათ მხარდაჭერას ასეთი ცოდნის გამოყენების საქმეში;

ვ) განმანათლებელი მუშაობის, მომსახურების განვითარება პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარებისა და ოჯახის სულადობის დაგეგმვის საქმეში,

„პეკინის წესებში" ეს მიდგომა უფრო კონკრეტიზირებულია. ამ წესების შესაბამისად პრევენციული პროგრამა უნდა გახდეს სოციალური პოლიტიკის ნაწილი, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის მაქსიმალური ხელშეწყობისაკენ. ამ მხრივ საინტერესოა მულტიდისციპლინური მიდგომა, რომელიც განისაზღვრა "არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიულ გეგმაში". ამ მიდგომის თანახმად, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია საჭიროებს მრავალი უწყების ერთობლივ ძალისხმევას, მულტიდისციპლინურ მიდგომასა და თანამშრომლობას სამთავრობო, სამოქალაქო თუ კერძო სექტორს შორის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ერთიანი მიდგომა, მჭიდრო კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა უმნიშვნელოვანესია პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში[11].

ერ-რიადში მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები პრობლემას უფრო კომპლექსურად უდგებიან, როგორც აღნიშნულია „პრინციპების" მე-9 მუხლში, აღკვეთის საერთო მიმართულებებს განეკუთვნებიან:

ა) პრობლემების გაღრმავებული ანალიზი და პროგრამების, მომსახურობების, დაწესებულებების და არსებული რესურსების ჩამონათვლები;

ბ) პრევეციულ საქმიანობაში მონაწილე კომპეტენტური ორგანიზაციების, დაწესებულებების და თანამშრომლების მკაფიოდ განსაზღვრული ვალდებულებები;

გ) სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებების საქმიანობის სათანადო კოორდინაციის მექანიზმები დანაშაულობის პრევენციის საქმეში;

დ) პოლიტიკა, პროგრამები და სტრატეგიები პროგნოზირების საფუძველზე, რომლებიც უნდა იყოს მუდმივი კონტროლის ქვეშ და დაექვემდებაროს ღრმა ანალიზს მათი განხორციელების პროცესში;

ე) არასრულწლოვანების სამართალდარღვევების ჩადენის შესაძლებლობის ეფექტური შემცირების მეთოდები;

ვ) თემის მონაწილეობა მომსახურების და პროგრამების ეართო წრის ფარგლებში;

ზ) მჭიდრო დისციპლინათაშორისო თანამშრომლობა მართვის ეროვნულ, სახელმწიფო, პროვინციულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის კერძო სექტორის, მომსახურებაგასაწევი თემის წარმომადგენლების, აგრეთვე დაწესებულებების მონაწილეობით, რომლებიც დაკავებული არიან შრომის, ბავშვების მოვლის, განათლების, სოციალური საკითხებით, სამართალგამომყენებელი სასამართლო დაწესებულებების მონაწილეობით არასრულწლოვანთა და ახალგაზრდებს შორის დანაშაულობის აღკვეთის ერთობლივი ზომების მიღებაში:

თ) ახალგაზრდობის მონაწილეობა პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში ახალგაზრდობას შორის დანაშაულის აღკვეთის საქმეში, მათ შორის, ორიენტაცია თემის შესაძლებობების გამოყენებაზე, ახალგაზრდობის თვითდახმარება და დაზარალებულთა კომპენსაციისა და დახმარების პროგრამები;

ი) ყველა დონეზე კვალიფიცირებული პერსონალის არსებობა.

საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №235 ბრძანებულებით დამტკიცდა "არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია". როგორც აღნიშნულია სტრატეგიულ გეგმაში, ეს სტრატეგია ქმნის არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეროვნულ ჩარჩოს და ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებსა და ნორმებს, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტანდარტებს, მათ შორის, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს არასრულწლოვანთა დელინქვენტური ქცევის პრევენციის შესახებ, გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ და სხვა სტანდარტებს. ამასთან, სტრატეგია ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილებასა და პრაქტიკას.

"არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიული" გეგმის ძირითადი პრინციპებია:

– გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასრულწლოვანთა ჩაბმულობა, მათგან შეხედულებებისა და ინფორმაციის მიღება;

– არასრულწლოვნების მონაწილეობა პროგრამების შემუშავებაში;

– რეგულარული კონფერენციების, შეხვედრების, სემინარების მოწყობა, სადაც მოზარდ-

ებს ექნებათ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა;

– მოზარდების ინიციატივების წახალისება, პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი მოგვარების გზების ძიების ხელშეწყობა;

– მოზარდის პატივისცემა მისი ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, გონებრივი შესაძლებლობებისა და სხვა ფაქტორების მიუხედავად;

– მოზარდის ნებაყოფლობითი მონაწილეობა.[11]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2012 წლის 22 მარტის "არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №235.

https://matsne.gov.ge/index.php?option= com_ldmssearch&view docView&id=1617344

2. Seventh United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders Milan, 2 6 August-6 September 1985

3. UN General Assembly, Report of the 6th United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders., 15 December 1980, A/RES/35/171

4. Seventh United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders-Compendium of United Nations Standards and Norms in Crime Prevention and Criminal Justice -Compendium of United Nations Standards and Norms in Crime Prevention and Criminal Justice http://www.uncjin.org/Standards/compendium.pdf

5. United Nations Convention against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances, 1988

6. Convention for the Suppression of the Traffic in Persons and of the Exploitation of the Prostitution of Others - Approved by General Assembly resolution 317 (IV) of 2 December 1949

Entry into force: 25 July 1951, in accordance with article 24

7. Convention on the Rights of the Child .UN General Assembly, 20 November 1989, United Nations, Treaty Series, vol. 1577, p. 3

8. United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"). Adopted by General Assembly resolution 40/33 of 29 November 1985.

9. United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines). A/RES/45/112, 68th plenary meeting14 December 1990.

10. United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty. Adopted by General Assembly resolution 45/113 of 14 December 1990.

საერთაშორისო სტანდარტები, როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის მეთოდოლოგიური პრინციპები

შოთა დვალიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები გამოხატულებას პოულობენ გარკვეულ დოკუმენტებში (შეთანხმებებში, დებულებებში, პაქტებში, კონვენციებში, დეკლარაციებში, წესებში და ა.შ.) ნორმების, პრინციპების და რეკომენდაციების სახით. სტანდარტები, თავიანთი იურიდიული სტატუსის მიხედვით, არაა თანაბარმნიშვნელოვანი, მაგრამ ერთიანი არიან მსოფლიო გაერთიანების მისწრაფების გამოხატვაში მაქსიმალურად კოორდინირებული გახადონ ყველა და თითოეული სახელმწიფოს საქმიანობის პოლიტიკა, საშუალებები და მეთოდები, რომლებიც მიმართულია დანაშაულობის წინასწარ აღკვეთისა და მასთან ბრძოლისაკენ. ამრიგად, საერთაშორისო სტანდარტები - ესაა საერთაშორისო დონეზე მიღებული წესები, მოთხოვნები, პრინციპიალური დებულებები, რომლებიც მიმართულია დანაშაულობის აღსაკვეთად სახელმწიფოების საქმიანობის სრულყოფისაკენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე.

[10] 2012 წლის 22 მარტის "არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №235.

https://matsne.gov.ge/index.php?option= com_ldmssearch&view docView&id=1617344

INTERNATIONAL STANDARDS AS PREVENTION METHODOLOGICAL PRINCIPLES OF JUVENILE CRIME

SHOTA DVALISHVILI
PhD of GTU

International - legal standards could be found as standards, guidelines and recommendations in certain documents (agreements, the provisions of the pacts, conventions, declarations, rules and so on.). Standards, according to their legal status are not equivalent, but they are united in expressing the aspirations of the world community to make the best possible coordination of all the activities and policies of each state, the means and methods that are aimed at preventing and combating the crime in advance. Thus, international standards are- the internationally accepted rules, requirements, principal provisions that are directed toward the improvement activities for the prevention of crime, both domestically and internationally

МЕЖДУНАРОДНЫЕ СТАНДАРТЫ КАК МЕТОДОЛОГИчЕСКИЕ ПРИНЦИПЫ ПРЕДОТВРАЩЕНИц ПРЕСТУПЛЕНИЙ НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ

ШОТА ДВАЛИШВИЛИ
докторант ГТУ

Международно-правовые стандарты находят отражение в определенных документах (соглашениях, положениях, пактах, конвенциях, декларациях, правилах и т.п.) в виде норм, принципов и рекомендаций. Стандарты не равнозначны по своему юридическому статусу, но едины в выражении стремления мирового сообщества максимально скоординировать политику, средства и методы деятельности всех и каждого государства, направленных на предупреждение и борьбу с преступностью. Таким образом международные стандарты – это принятые на международном уровне правила, требования, принципиальные положения, направленные на совершенствование деятельности государств, как внутри страны, так и на международном уровне, по предупреждению преступности.